საქმე №3ბ/528-11

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

04 მაისი, 2011 წელი ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე – მანანა ჩოხელი

აპელანტები – მერი თავართქილაძე, მაყვალა ქოქუაშვილი;
წარმომადგენელი – ნანა წერეთელი
აპელანტი (მესამე პირი) – შპს „ოქროს საწმისი"-ს, შპს „დავით და კონსტანტინე"-ს, „ქართული ბიზნესის აღორძინების ფონდი"-ს თბილისში მცხოვრებ მეანაბრეთა რეგისტრირებული კავშირი
თავმჯდომარე – ნანა წერეთელი
მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო
მესამე პირები – ნანი ლომთაძე; თეიმურაზ ლომთაძის უფლებამონაცვლეები - ნანი ლომთაძე და სოფიო ლომთაძე
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება
დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალდებულება
აპელანტების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით მერი თავართქილაძის და მაყვალა ქოქუაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეების – მერი თავართქილაძის და მაყვალა ქოქუაშვილის წარმომადგენელმა და ასევე მესამე პირის – შპს „ოქროს საწმისი"-ს, შპს „დავით და კონსტანტინე"-ს, „ქართული ბიზნესის აღორძინების ფონდი"-ს თბილისში მცხოვრებ მეანაბრეთა რეგისტრირებული კავშირის თავმჯდომარემ ნანა წერეთელმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინებით აპელანტებს დაუდგინდათ ხარვეზი და მიეცათ ვადა მის გამოსასწორებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეებს სასამართლო განჩინების თაობაზე უნდა ეცნობოთ საჯარო შეტყობინების საშუალებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ არ ჩაბარდათ აპელანტებს და წარმომადგენლს საქმეში მითითებულ მისამართებზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სსსკ-ის 70-78 მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან **ვებგვერდზე განთავსებით**, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობროვადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. ამ მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლო უწყება (განჩინება) მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მართლზომიერად მიიჩნევს, რომ მერი თავართქილაძეს, მაყვალა ქოქუაშვილს და ნანა წერეთლს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინება სააპელაციო საჩივარში ხარვეზის დადგენის შესახებ ეცნობოთ საჯარო შეტყობინების საშუალებით – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე, 372-ე, 78-ე და 284-ე მუხლები და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სააპელაციო საჩივრის ავტორებს – მერი თავართქილაძეს, მაყვალა ქოქუაშვილს და ნანა წერეთელს საჯარო შეტყობინების სახით ეცნობოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინების შესახებ (სააპელაციო საჩივარში ხარვეზის დადგენის შესახებ);
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინება განთავსდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე (www.tbappeal.court.gov.ge);
3. მერი თავართქილაძეს, მაყვალა ქოქუაშვილს და ნანა წერეთელს ეცნობოთ, რომ მათთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინება (სააპელაციო საჩივარში ხარვეზის დადგენის შესახებ) ჩაბარებულად ჩაითვლება საჯარო შეტყობინების სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებიდან მე-7 დღეს;
4. განჩინება არ გასაჩივრდება.

მოსამართლე **მანანა ჩოხელი**